

სპორტის განვითარების ხელშეწყობის
ღონისძიებები

სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის
განვითარების პროგრამა

კ რ ო ბ რ ა მ ა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

თ ბ ი ლ ი ს ი

2017 წ.

1. პროგრამის აღწერა და მიზანი

საქართველოში ბავშთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარების მიზნით მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დანერგვა. სატელევიზიო ფორმატის სპორტული თამაშობების მოწყობა, სპორტული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაბამისი ინვენტარით და ეკიპირებით უზრუნველყოფა, მასობრივი სპორტული ღონისძიებების გამართვა, მოსახლეობის ფართო ფენების, სტუდენტებისა და ვეტერანების სპორტით დაინტერესება, წარსულში ცნობილი სპორტსმენების უკვდასაყოფად სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა-პროპაგანდა, „სპორტი ყველასათვის“, საუნივერსიტეტო და ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული ღონისძიებების ჩატარება, სასკოლო შეჯიბრებების გამართვა, სხვადასხვა სახეობებში მასობრივი ღონისძიებების ჩატარება, წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა. "სპორტი ყველასათვის" პროექტების რეალიზაცია და აღნიშნული ფედერაციის ეგიდით გამართული ღონისძიებების დაფინანსება, სპორტის პოპულარიზაციის და წლის შედეგების მიხედვით დაჯილდოების მიზნით საზეიმო ღონისძიებების მოწყობა, სპორტული ფესტივალების გამართვა, რეგიონებში მივლინებები სიტუაციის შესასწავლად, ქართული ტრადიციული ეროვნული სპორტული თამაშობების მოწყობა.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მეშვეობით სპორტის პოპულარიზაცია მოსახლეობის ფართო ფენებში, სპორტის პროპაგანდა ინტერნეტის საშუალებით და ამ მხრივ სამინისტროს ვებ-გვერდის მომსახურეობა და შესაბამისი პირების დაქირავება, სპორტის რეკლამირება და სატელევიზიო პროექტების განხორციელება, სარეკლამო კლიპებისა და სხვა ვიზუალური მასალების შექმნა, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციის მიზნით ვიდეორგოლების დამზადება, სპორტის საზეიმო ღონისძიებების დაფინანსება, სპორტულ ჟურნალისტთა მივლინება საერთაშორისო ღონისძიებებზე, სპორტის პოპულარიზაციის მიზნით კონკურსების მოწყობა და სხვადასხვა სახის წიგნების, ალბომების, ჟურნალებისა და კალენდრების გამოშვება და თარგმნა, წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

პროგრამის შესრულების ვადები

შესრულების ვადები: დაწყება-01.01.2017. დამთავრება-31.12.2017.

2. საერთო ღირებულება

სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მთლიანი ასიგნების თანხა შეადგენს 1 850 000 ლარს.

3. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

4. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

შედეგი:

მოსახლეობის ფართო ფენების სპორტულ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმა, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა. სპორტის სფეროში დასაქმებულთა მაჩვენებლის ზრდა.

ინდიკატორი:

- სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი;
- სპორტის სფეროში დასაქმებულთა მაჩვენებელი.